პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კვირა, 24 აგვისტო 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 581

ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 19

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც'. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

მ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის), დანიშნულია ტფილისის საბჭოს მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:

1) საბჭოს დებულების განხილვა.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

კ. 2—2

პრეზიდიუმი.

ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია ტფილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა.

დასწრება ყველა წევრთა სავალდებულოა.

ფრაქციის ბიურო.

ერთი წლის თავზე.

25 აგვისტო 1923 წელი მუდამ ჟამს სამახსოვრო იქნება საქართველოს მუშების და ღარიბი გლეხების მოძრაობის ისტორიაში.

ეს დღე სწორედ ის დღეა, როდესაც მრავალ წლობით ბურუსში გახვეულმა მუშამ და გლეხმა დაახწია თავი სიბნელეს და მოძებნა ახალი გზა რევოლიუციონურ მსვლელობაში. მენშევიკურ პარტიას, როგორც საზოგადოთ ყველგან, ისე კერძოთ ჩვენში, მრუდი გზით მიყავდა მუშათა კლასი. უკანასკნელ ხანებში ეს გზა იმდენად გამრუდდა, რომ მენშევიკები არამც თუ დამხმარე შეიქმნენ იმპერიალიზმის, არამედ მთავარ მომქმედ ძალად გადიქცენ.

ყველა ჯურის კონტრრევოლიუცია მათი ამ საგმირო საქმეში მხოლოდ დამხმარე ძალად იყო.

საქართველოს მუშათა კლასიც გზა აბნეული მიყვებოდა მათ დაღუპვის უფსკრულისაკენ.

ბოლოს ჩვენშიც დადგა ისეთი წუთი, როდესაც თვითეულ მუშას და გლეხს თავის საკუთარი თვალით შეეძლო დარწმუნებულიყო კომუნისტურ პარტიის მიერ დამყარებულ ხელისუფლების საქმიანობაში.

ამ უშუალო დაპირისპირებამ და საკუთარმა განცდამ მიიყვანა ყოფილი მენშევიკები იმ დასკვნამდე, რომ გზა მათ მიერ არჩეული იყო დამღუპველი და მიუღებელი.

მენშევიკების ბელადებს შორისაც იყვენ ისეთები, რომელთაც მიუღებლად სწამდათ თავისი გზა, მაგრამ მათ ვერ გაუწიეს წინამძღოლობა იმ მუშებს, რომლებიც მათ გარშემო იყრიდენ თავს.

მუშებმა გაარღვიეს თავიანთ ბელადების რიგები და ყველას გასაგონად განაცხადეს: „ჩვენ ვგმობთ დღევანდელ ჩვენს ხელმძღვანელებს და უერთდებით კომუნისტურ პარტიას, როგორც ერთად ერთ პარტიას მუშათა და ღარიბ გლეხთა ინტერესების დამცველ“-სო. ეს განაცხადა არა ერთმა და ორმა მუშამ, არამედ 20 ათასმა მუშამ და ღარიბმა გლეხმა.

ეს განაცხადა არა გუშინ და გუშინწინ შესულმა პირებმა მენშევიკების პარტიაში, არამედ ძველმა მომუშავეებმა.

და განაცხადეს არა შიშითა და კრძალვით, არამედ სრულიად შეგნებულად და წინდახედულად.

გავიდა წელიწადი, მენშევიკების ბანაკს თუ ვინმე დააკლდა, თორემ არავინ მომატებია.

მათი სარდლები თითო-ოროლა დაკინკილებდენ გზა აბნეულნი და მათთვისაც ბინა საგანგებო კომისიამ მოძებნა.

და რამდენიც არ უნდა იძახოს მენშევიკების მოხუცმა ბელადმა ნ. ჟორდანიამ ჩვენი პარტია მკვდრეთით აღსდგაო, სინამდვილე მაინც თავისას არ დაკარგავს.

მენშევიკების პარტია, როგორც პარტია მუშებისა და გლეხების, მოკვდა და მკვდრეთით აღდგენას ის ვეღარ ეღირსება.

ასეთი არის მწარე განაჩენი ისტორიის და ასეთივე დარჩება მენშევიკების თავზე.

ინგლის-საბჭოთა შეთანხმების შესახებ,

იმედი აქვთ, რომ პარლამენტი არ დაამტკიცებს ხელშეკრულებას

გაზეთ „ფაინანშიელ ტაიმსის“ მოწინავეში სწერია:

„როცა პარლამენტი შეიკრიბება ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი იმდენად გააძლიერებენ პოზიციებს, რომ ძალიან მცირე შანსები იქნება ხელშეკრულების დამტკიცებისათვის.

დაუშვებელია, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს შეთანხმება, რომელიც აიძულებს ინგლისის მთავრობას მისცეს სესხი ისეთ სახელმწიფოს, რომელმაც თავდაპირველად გააუქმა ყველა ვალები და დღეს უხალისოდ სთანხმდება იცნოს თავის ვალდებულებათა განუსაზღვრელი პროცენტი.

ვინაიდან ამ ვალდებულების შესრულება „შეუძლია მხოლოდ ბანკებსა და ფინანსიურ დაწესებულებებს ცხადია, რომ სესხის საკითხი ნაწილობრივადაც კი ვერ გაიმარჯვებს.

ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ რომ ასეთ შემთხვევაში ბრიტანეთის მთავრობამ ხელი ჩაჰყოს სახელმწიფოს სალაროში საბჭოთა კავშირის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

თუ ეს ასე იქნება, მთავრობის დღეები დათვლილია.

სნოუდენი უარყოფს ხმებს კაბინეტში მომხდარ უთანხმოების შესახებ.

„მორნინგ პოსტი“ სწერს, რომ ძნელია იმაზე ფიქრი, თუ როგორ რჩება მაკდონალდი პრემიერის თანამდებობაზე იმ დროს, როცა მისი მთავარი ამხანაგი კაბინეტში —სნოუდენი ნებას აძლევს თავს თავისუფლად ილაპარაკოს.

„დეილი ექსპრესი“ ათავსებს მეორე საუბარს სნოუდენთან, სადაც ნათქვამია:

„სასაცილოა იმაზე ფიქრი ერთი წუთითაც კი, რომ თითქოს ჩემსა და პრემიერს, ან სხვა ვინმე სხვა ამხანაგს შორის არსებობდეს რაიმე უთანხმოება კაბინეტში“.

„მანჩესტერ გარდიენი“ ამტკიცებს ხმებს უთანხმოების შესახებ კაბინეტში და სთვლის მას დაუსაბუთებლად.

მაგრამ „ვესტმინსტერ გაზეტი“ თავისას ადგია და ამბობს, რომ სნოუდენი მართლაც უარყოფითად უყურებს სესხის გარანტიის პროექტს საბჭოთა კავშირისადმი.

„განიარაღების“ გეგმა.

ამერიკის საზღვაო სამინისტროს წრეებში აღნიშნავენ, რომ ინგლისს სურს მომავალ კონფერენციაზე განიარაღების შესახებ მოაბრუნოს საკითხი თავის სასარგებლოდ.

იაპონიას უკვე შედგენილი აქვს ახალი მცირე გემების აგების გეგმა, რაიც გამოდის ახალი, გათვალისწინებული ანგარიშიდან.

დიპლომატიურ წრეებში ამტკიცებენ, რომ იაპონიამ და საფრანგეთმა შეთანხმება დასდვეს იმოქმედონ შეერთებულად ხმელეთის შეიარაღებულ ძალთა განიარაღების ცდების წინააღმდეგ,

იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ჩინეთის საზოგადოების წერილი ამხ. ტროცკის მიმართ.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ჩინეთის საზოგადოებამ კარახანის ხელით შემდეგი წერილი გადმოსცა ამხ. ტროცკის:

„ინგლისის რწმუნებულმა ჩინეთში უკანონოდ დააპატიმრა ჯარის კაცი **ლი-იუ-ანი**. ყველა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გამართეს პეკინში მიტინგი, რათა გამოეცხადებინათ თავისი დამოკიდებულება ინგლისთან და გაუგზავნეს დეპეშა ინგლისის მთავრობას, რომელსაც სთხოვდენ უკანვე გაეწვია რწმუნებული და გაეუქმებია ყველა ხელშეკრულებები, რომლებიც ძალით მოახვია თავს ინგლისმა ჩინეთს.

მაგრამ მაკდონალდმა, რომელიც უწოდებს თავს მუშათა მთავრობის პრემიერს, არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ სამართლიან მოთხოვნილებას.

ჩვენ აღშფოთებული ვართ ამ საქმით.

თქვენ სიტყვებში ხშირად გამოსთქვამდით სიმპატიას იმ ჯარის კაცისადმი, რის გამოც ჩვენ განსაკუთრებულ მადლობას გიძღვნით.

მრავალი ათეული წლები გავიდა, რომ ჩინეთი ნახევრად კოლონიად არის გადაქცეული.

დღეს ჩვენ დავაარსეთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება. ეს საზოგადოება დაარსდა პეკინში 13 ივლისს.

ჩვენ გამოუშვით ფურცლები, სადაც აღნიშნული გვქონდა ამ მიმართულების მიზანი და მუშაობის გეგმა.

საზოგადოების მიზანია სხვათა შორის შექმნას საერთაშორისო ძლიერი მოძრაობა, რათა შეურყიოს საფუძვლები საერთაშორისო კაპიტალიზმს, ვინაიდან ჩვენი მიზანია, რათა კაცობრიობამ კვლავ მოიპოვოს თავისუფლება და უფლება ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირმა პირველმა დაიწყო ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და დაუმეგობრდა ყველა ჩაგრულ ერებს.

გიძღვნით ჩვენს წრფელ მადლობას ჯ. კ. **ლი-იუ-ანის** თანაგრძნობისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს მივიღოთ თქვენგან რჩევა-დარიგებები, თუ როგორ ვებრძოლოთ იმპერიალისტების შემოტევას და როგორ გარდავქმნათ მთელი ქვეყნიერება“

ლონდონის კონფერენციის გამოძახილი.

ერიოს დეკლარაციები მოიწონეს პალატებმა.

საფრანგეთის ორივე პალატამ მოიწონა მთავრობის დეკლარაცია ლონდონის კონფერენციის შედეგების შესახებ.

დეპუტატთა პალატის სხდომაზე ბრიანმა მიულოცა ერიოს მოკავშირეთა შორის თანხმობის განახლება.

პარასკევს დაიწყო დებატები დეკლარაციის გარშემო.

მთავრობის შეკითხვები უინციდენტოდ სწარმოებენ.

საფრანგეთის სენატმა გადასდო დებატები ერიოს დეკლარაციის გარშემო სამშაბათამდის.

გერმანიის პარტიების პოზიცია.

დღემდისაც არ გამორკვეულა გერმანიის მემარჯვენე პარტიების პოზიცია შეთანხმების დამტკიცების საკითხში.

გერმანიის სახალხო პარტიამ დაამტკიცა ლონდონის შეთანხმება.

მთავრობის გეგმა.

პარლამენტარულ წრეებში გამეფებულია საერთო აზრი, რომ მთავრობა შეეცადა გაატაროს რეიხსტაგის დაშლამდი ის საპარაციო კანონ-პროექტები, რომლებიც არ მოითხოვენ ხმების ორი მესამედის უმეტესობას.

რეიხსრატის წინასწარი ზომები.

რეიხსრატმა მიიღო საარჩევნებო კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც მცირდება რეიხსტაგის დეპუტატების რიცხვი 472-დან 399 კაცამდი. კანონ-პროექტი აწესებს ერთი დეპუტატის მანდატს 75.000 ამომრჩეველზე. დღემდის თითეული დეპუტატი ირჩეოდა 60.000 ამომრჩეველზე.

გერმანიის ნაციონალისტები შინჯავენ ნიადაგს.

ნაციონალისტების კომისიის სხდომაზე რეიხსტაგში დასმულ იქნა საკითხი:—როგორი შედეგები მოყვება იმას, თუ რომ ოცდა ათ აგვისტოს უმრავლესობა არ იქნება კანონპროექტების მხარეზე და საჭირო იქნება

თუ არა ამ შემთხვევაში ახალი კონფერენცია.

ამ საკითხის განხილვის დროს ნაციონალისტების ბელადმა გერგტმა განაცხადა, რომ შეიძლება მოხდეს უშუალო მოლაპარაკება საფრანგეთ—გერმანიას შორის ლონდონის შეთანხმების პირობათა გაუმჯობესების მიზნით.

რეიხსკანცლერ მარქსმა შეკითხვაზე განაცხადა, რომ მოკავშირეები არ იქნებიან შებოჭილი ლონდონის შეთანხმებით თუ კანონ პროექტები არ იქნებიან მიღებული ვადაზე, როცა ხელი უნდა მოაწერონ ოქმს, ე. ი. 30 აგვისტოს.

„გერმანიის მთავრობა—სთქვა მარქსმა—აპირობს მიიღოს თავზე მორალური ვალდებულება და იმ შემთხვევაში, თუ მხარს არ დაუჭერს რეიხსტაგი, დაითხოვოს უკანასკნელი“.

მარქსის შემდეგ გამოვიდაა შტრეზემანი, რომელმაც აღნიშნა, რომ მოლაპარაკება ანტანტასთან შეუძლებელი იქნება, თუ რომ დღევანდელი რეიხსტაგი არ მიიღებს კანონპროექტს, ვინაიდან ახალი რეიხსტაგი ჯერ კიდევ არ არსებობს.

შტრეზემანი ყურადღებას მიაქცევს მოძრაობის ზრდას ინგლისის მრეწველთა შორის გერმანიის კონფერენციის წინააღმდეგ.

არ არის აგრეთვე ცნობილი ის, რომ დარჩება თუ არა ერიო პრემიერის თანამდებობაზე ახალი რეიხსტაგის მოწვევის დროს.

ვალიკო ჯუღელი



დატუსაღებამდე.



დატუსაღების შემდეგ.

საბჭოთა ფედერაციაში

საყოველთაო სავალდებულო სწავლება.

საყოველთაო სწავლებისა და მომზადების კომისიამ მოხსენება გააკეთა რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე.

პირველ საფეხურის სკოლათა ქსელის განხორციელებისა და საყოველთაო დაწყებითი სწავლების მიღწევის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1933—34 წ. წ.

პედაგოგიური ტეხნიკუმების კადრის თავის დროზე მომზადების მიზნით, პირველი საფეხურის შრომის სკოლა უნდა იყოს ხელმისაწვდომი უფასო სასკოლო ჰასაკის ყველა ბავშვებისათვის.

საგუბ. აღმასკომებს უფლება ენიჭება სავალდებულოდ გამოაცხადოს პირველ საფეხურის სკოლაში სწავლა ათი წლის ჰასაკამდის.

შრომის სკოლების ქსელი შეფარდებული უნდა იყოს ხშირ მოსახლეობაზე და გუბერნიის მოსახლეობის ტერიტორიალურ განაწილებაზე.

პირველ საფეხურის სკოლები ინახებიან ადგილობრივ ხარჯზე.

კომისიის მოხსენების შესახებ სახალხო კომისართა საბჭომ სცნო აუცილებლად გამოსცეს საერთო კანონი რსფსრ-ს მთელი ტერიტორიისთვის, (რომელშიაც უნდა შევიდეს აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკები) საერთო სწავლების შემოღებისა და ახალი სასკოლო ქსელის მოწყობის შესახებ.

სტუდენტთა გამოყენება ენის სწავლების საქმეში.

სახალხო განათლების კომისარიატმა მიიღო ინგლისის განათლების მინისტრის წინადადება, რათა გამოგზავნილ იქნან საბჭოთა კავშირში ინგლისელი სტუდენტები ინგლისური ენის სასწავლებლად ჩვენს სკოლებში,—და ჩვენი სტუდენტები ინგლისში რუსული ენის სასწავლებლად.

სავაჭრო ხელშეკრულება ინგლისსა და სსრკ-ს შორის.

გამოქვეყნებულია სავაჭრო ხელშეკრულება, ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომელზედაც ხელი მოაწერეს 8 აგვისტოს რაკოვსკიმ და მაკდონალდმა.

ოქმს მოყვება ბრიტანეთის და საბჭოთა დელეგაციების დეკლარაციები, რომლებიც გამოქვეყნებული იყვენ ხელშეკრულების მოწერის დროს.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირი ინარჩუნებს უფლებას ყოფილ რუსეთის მთელ სამხედრო და ნაციონალიზაცია ქმნილ ფლოტზე, იმდენად, რამდენადაც ეს გემები არ ყოფილა გაყიდული საბჭოთა მთავრობის მიერ ან მისი ნებართვით.

დეკლარაცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ჩასთვლის ამ გემებს როგორც საბჭოთა კავშირის თა საკუთრებას, მიუხედავად თუ ვის ხელში აღმოჩნდებიან

ამხ. ამხ. რაკოვსკისა და შეიმანის გამგზავრებ ლონდონში.

23 აგვისტოს თვითმფრინავ „დერუ ლიუტით“ ლონდონში გაფრინდენ საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე და წევრი ლონდონის ფერენციაზე—ამხ. ამხ. რაკოვს შეიმანი.

ნაციონალიზაცია მოლდავიაში.

მოლდავიაში ტარდება ნაციონალიზაცია.

უკვე დაიწყო სწავლება რამოდენიმე სკოლამ მოლდავანურ ენაზე.

სასამართლო აწარმოებს მუშაობას გერმანულ და მოლდავანუ ბზე, იმის მიხედვით, თუ რ რაიონში,—რომელი ეროვნებ სახლეობა სჭარბობს.

ლონდონის კონფერენციის შემდეგ.

ერიომ „განამტკიცა ევროპის ზავი“.

ფინანსთა მინისტრმა კლემანტელმა ქებათა-ქება შეასხა ერიოს, რომელმაც „თავისი თავგანწირული ენერგიით აღადგინა ნდობა და განამტკიცა თანხმობა მოკავშირეთა შორის და ადვილად მიაღწია იმ მიზანს, რომ გერმანიამ მართლა ვის ნებით მოაწერა ხელი შ მებას, რომელიც საფუძვლად დება სარეპირაციო საკითხს ნამტკიცებს ევროპის მშვიდობ ბას“.

გერმანია

კომფრაქციის პროტესტი.

ფრაქციების ბელადებთან მოლაპარაკების შემდეგ მარქსმა მიიღო კომუნისტური ფრაქციის წევრები **რუთ ფიშერი, კაცი და შტეკკერი.**

კომუნისტურმა დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ენერგიულად იბრძოლებენ დოუესის გეგმის წინააღმდეგ. კომუნისტების წარმომადგენლებმა შეეკითხენ მარქსს, ხომ არ ფიქრობს მთავრობა გაავრცელოს ამნისტია პოლიტიკურ პატიმრებზედაც და თანახმაა თუ არა მთავრობა ჰოს პრესის თავისუფლება კომ ტურ გაზეთებს და მისცეს შ მსჯელობისა ლონდონის შეთ ბის გარშემო.

მარქსმა უპასუხა მიკიბულ ბული ფრაზებით, რის შემდეგ მპარტიის წარმომადგენლებმა ხადეს სასტიკი პროტესტი და წყვიტეს მოლაპარაკება.

ტევტონთა განცხადება.

ტევტონთა პარტიის წარმომადგენლებმა, რომლებიც მიღებულ იქნენ მარქსის მიერ, განაცხადეს, რომ ისინი კვლავ უარყოფენ ლონ შეთანხმებას.

პოლონეთ

პარტიზანთა ახალი თავდ

„გაზეტა ვარშავკა“ იუწყებ პარტიზანები თავს დაესხენ ვე (კრემენეცკის მაზრაში) გაიტა ცხენი და მიიმალენ.

პროფესორთა გაფიცვე

უკრაინის პროფესორები უა ხდებენ ასწავლონ კრაკოვის ვერსიტეტებში. ისინი მოით უკრაინის უნივერსიტეტის ლ ზაციას ლვოვში.

რადიო ყოვე მხრიდან.

სსრკ, სამხრეთ-ს ვია და ჩეხოსლო კია.

„გუტენის“ ცნობით ლ მოხდება სამხრეთ-სლავიისა ხო-სლოვაკიის საგარეო საქმე ნისტრების თათბ. მისი მიზანია კვიის საკითხი დამოკიდებუ შეცვლისა საბჭოთა კავშირის მართ.

მეტი სათქმელი რა დაგრჩენიათ!

საზღვარ-გარედ მომწყვდეული მენშევიკები თავისებურ ქექიაობას ეწევიან.

ამ ვაჟბატონებს დღემდის კიდევ შერჩენიათ უნარი უტიფრობის და უსირცხვილოდ ამბობენ თავის ბელადის ნ. ჟორდანიას პირით, რომ 20 ათასი მუშისა და გლეხის განცხადება და დადგენილება ჩვენი პარტიის ლიკვიდაციის შესახებ არ ნიშნავს პარტიის ლიკვიდაციასო.

მეტი რაღა დარჩენიათ ამ უბადრუკებს!

„წყალ წაღებული ხავს ეკიდებოდაო“—ნათქვამია და ეს სწორეთ მენშევიკების ბელადებზეა ზედ გამოჭრილი.

ნ. ჟორდანია თავის უკანასკნელ წერილში „ჩვენ და ისინი“ ბრალსა გვდებს, ვითომც და ჩვენ, კომუნისტები, მენშევიკურ პარტიას დაშლილად ვაცხადებთ და ამასთან ერთად კი ყოველ დღე ვათავსებთ გაზეთებში მენშევიკების პარტიიდან გამოსვლის შესახებ.

ეს არის არ გაგება არსებული მდგომარეობის.

ჩვენს პარტიას და არც ერთ მის წევრს, არასოდეს არ უთქვამს მენშევიკების პარტია დაიშალა, როგორც პარტიაო. არა. პირიქით ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, რომ მენშევიკების პარტია, როგორც პარტია მუშების და გლეხების გაიხრწნა, აღარ არსებობს.

ამას ვამბობთ არა ლიტონი სიტყვებით, არამედ ფაქტებით.

გასულ წლის 25 აგვისტოს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, რომლებიც ყოფილი მენშევიკების პარტიის აქტიური წევრნი იყვენ, დაგმეს ძველი გზა, დაგმეს თავის ბელადები და ახალ გზას გაყვენ. ეს ახალი გზა გამოფხიზლებულ მუშებისა არის გზა კომუნისტურ პარტიის.

მენშევიკებს დარჩათ თავის პარტიაში მღვდლები, ბერები და ადგილ-მამულ ჩამორთმეული აზნაურობა.

ეს ხალხი დღესაც მათი მომხრეა.

ჩვენთვის აქ ახალი და გასაკვირი არაფერია. პირიქით, ჩვენ წინასწარ ვიცოდით: რომ ყველა მტერი და ორგული მშრომელი ხალხის თავს მოიყრიდა იმ ხალხთან, რომლებმაც მშრომელი ხალხი არ დაინდეს და ცეცხლსა და გენიას მისცეს.

ჯუღელი, ჟორდანია-რამიშვილის ბრძანებით საქართველოს აჯანყებულ მუშებს ახრჩობდა და ხვრეტდა; თავად აზნაურობას და სამღვდელოებას მფარველობდა.

ამის შესახებ მრავალი დოკუმენტები მოიპოება.

არა ერთხელ და ორჯერ განუცხადებიათ მენშევიკებს ამის შესახებ ინგლისის წარმომადგენლობისთვის, უკანასკნელის აქ ბატონობის დროს. ეს ფაქტები შავით თეთრზე სწერია და ვისაც არ სჯერა წაიკითხოს და თითონ მიხვდება.

ჩვენთვის კი, ე. ი. მათთვის ვის თვალისწინაც ეს საზიზღარი ამბები მოხდა, ციტატები წიგნებიდან საჭირო არ არის. თანამედროვე ქართველმა თაობამ კარგათ იცის ყველა ის საზიზღრებანი, რაც მენშევიკებმა აქ ჩაიდინეს თავიანთ ბატონობის დროს.

ისინი არც დღეს ანებებენ თავს ყაჩაღურ მოქმედებას.

სულ ამ ახლო ხანში იყო გადმოგზავნილი ბ-ნ ჟორდანიას გეგმა.

ამ გეგმაში ის აღნიშნავდა, რომ აჯანყება მთიელებმა უნდა დაიწყონ, მათ სხვებიც აყვებიან და თქვენ კი (სწერდა ის მღვდლებს, ბერებს, მემამულეებს ვ. ჯუღელის მეთაურობით) შემდეგ მზა-მზარეულზე მიდით. მერე ალბად თითონ ფიქრობდა ჩამობრძანებას. საქმეც გამოკვარახჭინებული იქნებოდა მისი აზრით.

ასე ნაცარ ქექიაობდა მენშევიკების გაუბედურებული ბელადი, მაგრამ მის გამოძახილს არავინ არ გამოყვა.

ეს ბუნებრივიცაა. მუშები და გლეხები მათ ერთხელ და სამუდამოთ ჩამოცილდენ. ისინი ვერასოდეს ვერ მიიღებენ უკან მათ.

მღვდლები და ბერებიც, რომლებიც მათ მხარს უჭერენ, როდის იყვენ ისეთი გაბედული ბიჭები, რომ თოფი ხელში აეღოთ.

ეს ფაქტიც ერთხელ კიდევ ზედმეტად ადასტურებს, რომ მენშევიკებს გარდა მემამულეებისა და გაკრეჭილი მღვდლისა, ჩვენში მომხრე არავინ ყავს.

და რაც ბევრი არ უნდა იტყუონ და იცრუონ უჯიროდ დარჩენილმა მათმა ბელადებმა, საქართველოს მშრომელი მასისათვის ერთი მაინც აშკარად და შეურყევლად დარჩება:

მოისპო მენშევიკების პარტია, როგორც პარტია მუშების და გლეხების. ჩამოცილდა მას ყველა შეგნებული მუშა და პატიოსანი მოქალაქე და არც არასოდეს ეს ხალხი არ გაყვება თავის მატყუებელს და გამყიდველს ნ. ჟორდანიას და რამიშვილს.

—ი.

კარგი იქნება თვით კლუბის უფროსი, გაგვცემდეს პასუხს და გვეტყოდეს თუ რა მიზეზია რომ საკლუბო მუშაობა თავის სიმაღლეზე არა სდგას.

სამხკორი: **ლ. დგებუაძე.**



ლიტერატურული გასამართლება.

ცალკე საკავშირო ასეულის კულტკომისიამ 13 აგვისტოს მოაწყო ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის გმირის ქრისტინეს გასამართლება.

არჩეული იქნა სასამართლო, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. მაჩიტაძე.

ოფიციალურ ბრალმდებლად გამოვიდა ამხ. ჩხიკვიშვილი. იცავდა ამხ. მონიავა.

ბრალმდებელმა სასამართლოს წარუდგინა შემდეგი ბრალდებები:

1. დედის მოვალეობის უარყოფა —რომელიც გამოიხატება ქრისტინესაგან თავისი შვილის გოგიას მიტოვებაში.
2. ქრისტინეს გაპარვა ოჯახიდან და
3. თბილისში გარყვნილ ცხოვრების წუმპეში გადავარდნა.

ამის შემდეგ საზოგადოებიდან არჩეული იქნენ ხუთი ნაფიცი მსაჯულები, მათ შორის ორი ქალი.

სასამართლო შეუდგა პროცესის წარმოებას.

გამოდის ბრალმდებელი ამხ. ჩხიკვიშვილი, ის შლის თავის საბრალმდებლო ოქმში აღნიშნულ მუხლებს. მოყავს მრავალი მაგალითები და ბოლოს დაასკვნის: „ქრისტინე დამნაშავეა, რომ მან ღვთის ანაბარა მიატოვა თავისი პაწია შვილი, თავისი ოჯახი და მოხუცი დედ-მამა. მან მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა თბილისში წასვლით, მას უნდ მოენახა სხვა გამოსავალი, რომელიც აცდენდა იმ მდგომარეობას, რომელშიაც მას ვხედავთ. ქრისტინე დამნაშავეა და დიდი დამნაშავეც, რომ თბილისში ხელი მიჰყო გარყვნილ ცხოვრებასო“.

ბრალმდებელი მოითხოვს მსაჯულებისაგან მის მიერ წაყენებულ ბრალდებებზე დასტურს.

შემდეგი სიტყვით გამოდის ოფიციალური დამცველი ამხ. მონიავა. ის კვალ და კვალ გაყვა ბრალდებაში აღნიშნულ მუხლებს და შეეცადა მათ დარღვევას.

„თქვენ მოითხოვთ ქრისტინეს დასჯას, თქვენ გაღელვებთ მის მიერ ჩადენილი საქციელი, თქვენ ის დაუშვებლად მიგაჩნიათ, ვერ მოგითმენიათ, რომ მან მიატოვა შვილი, ოჯახი, მოხუცი დედ-მამა და ამავე დროს გავიწყდებათ არსებული მდგომარეობა, გავიწყდებათ ქრისტინეს გულუბრყვილობა, გამოუცდელობა.

ამხანაგებო, თქვენ გავიწყდებათ თუ როგორ მოექცენ ამ ისედაც გულდამწვარ გამოუცდელ ადამიანს, საზოგადოება, მშობლები. თქვენ გავიწყდებათ მისი გულსაკლავი გამომშვიდობება გაპარვის ღამეს, გავიწყდებათ მისი ცრემლები.

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს წმინდა გულის პატრონი ადამიანი იძულებული შეიქნა მოშორებოდა გახრწნილ საზოგადოებას, ჰორიკანა ხალხს, რომელიც დღითი დღე აუტანელი ხდებოდა მისთვის“.

ბოლოს დამცველი აღნიშნავს თუ როგორ მდგომარეობაში ჩავარდებოდა გამოუცდელი, სოფლიდან მოტყუებით წამოყვანილი და გაქნილი ქალების ხელში მოქცეული საბრალო ქრისტინე. „რა უნდა ექნა იმედებ გაცრუებულს და მეორედ უფრო საშინლად მოტყუებულ თავის ცხოვრებაში—საბრალო ქრისტინეს“?

დამცველი მოითხოვს ქრისტინეს გამართლებას და შემდეგი სიტყვებით აბოლოებს დაცვას:

„ბრალდება, რომელიც წაყენებულია ბრალდებულის მიმართ—გადატანილი უნდა იქნეს მაშინდელ გახრწნილ და ზნე დაცემულ საზოგადოებაზე, რომელმაც სიკვდილის კარამდე მიიყვანა საბრალო, გამოუცდელი, გულუბრყვილო გლეხის შვილი ქრისტინე“.

ამის შემდეგ გამოდიან არა ოფიციალურ ბრალმდებლები და დამცველები.

ოფიციალურ ბრალმდებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სასამართლოს ბრალდებებზე მუხლობრივად გამოაქვს განაჩენი.

ბრალდების პირველ მუხლში სასამართლომ სცნო ქრისტინე დამნაშავეთ მეორე ბრალდებაში არა დამნაშავეთ, ხოლო მესამეში კი დამნაშავეთ.

მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ქრისტინეს საზოგადოებრივი მდგომარეობა და უკუღმართი პირობები—სასჯელი აპატია და დაადგინა ყველა ეს დანაშაულება გადატანილ იქნას მისი პირველი მომტყუებელი—იასონ უქმაძეზე, რომლის მთელი ქონება უნდა გადაეცეს ადგილობრივ ულარიბეს გლეხობას.

სერმონია.

გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის მესამე ასეულში.

21 აგვისტოს შესდგა ასეულის მორიგი საერთო კრება. კრებაზე ყველა უფროსი კურსის კურსანტებს უნდა მოეხსნათ თავიდან ყველა დავალებები და გადაებარებიათ უნცროსს კურსის კურსანტებისათვის, რადგანაც უფროსები ათავებენ სკოლას და სექტემბრის პირველ რიცხვებიდან დაიგზავნებიან ჩვენი წითელ ჯარის ნაწილებში.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1) ლენინის კუთხის მმართველ კომისიის მოხსენება და ახალის არჩევა.
2) სარედაქციო კოლეგიის მოხსენება და ახალის არჩევა.
3) ასეულის სამხკორების მოხსენებები და მიმდინარე საკითხები.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. შ. თელიამ. მომხსენებელმა მოკლედ გააცნო კრებას, თუ რა გააკეთა მან 5 თვის განმავლობაში.

წაუყენა თვიური შემოსავალი და გასავალის ანგარიში.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები.

ყველა შეკითხვებს მომხსენებელი დამაკმაყოფილებელ პასუხს აძლევდა.

შემოვიდა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა, მოხსენება 3-მე ასეულის ლენინის კუთხის მმართველ კომისიის თავმჯდ. ამხ, შ. თელიასი, ჩვენ კუთხის მუშაობას ამ ხუთი თვის განმავლობაში ვცნობთ ფრიად დამაკმაყოფილებლად.“

ახალ კომისიაში კრებამ ერთხმად აირჩია: ამხ. კ. უბერი, გ. ბასილია და მეთ. ი. მაღალაშვილი. კანდიდატ: მანაგაძე და ჩხიკვაძე.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარემ ამხ. დანელიამ და მდივანმა ამხ. თელიამ. ამხანაგებმა კრებას გააცნეს რედ. კოლეგიის მუშაობა.

15 ივლისიდან სარედაქციო კოლეგიის გამოუშვია 25 აგვისტომდე კედლის გაზეთის 4 ნომერი.

მომხსენებლებმა აღნიშნეს ყველა ის დაბრკოლებები, რომლებიც მუშაობას წინ ეღობებოდა.

ამის შემდეგ შემოვიდა შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება სარედაქციო კოლეგიისა, ჩვენ კოლეგიის მუშაობას ვცნობთ ფრიად დამაკმაყოფილებლად და ვადგენთ, რომ ამხ. შ. თელია, მ. დანელია და კ. უბერი იქნენ გაწერილი ასეულის წითელ დაფაზე.

სარედაქციო კოლეგიის წევრებად იქნენ არჩეულნი შემდეგი ამხანაგები: კ. უბერი, დ. ნამგალაძე და გ. ბასილია.

რადგან მოხსენებებმა დიდხანს გასტანა მიმდინარე კითხვები მოიხსნა.

ლენინის კუთხის მმართველ კომისიას და სარედაქციო კოლეგიის ძველი წევრები კრებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა, რის შემდეგ კრება დაიხურა.

ბოკო.

საჭიროა გამოფხიზლება.

ბანაკში გასული ქართულ საარტილერიო ნაწილები ჩამოშორებულია ყოველგვარ ლიტერატურას. არ მოგვდის კვირაში ერთხელ მაინც ჟურნალ-გაზეთები. წითელ არმიელის ლოდინს, რომ ეს არის მივიღებთ ახალ გაზეთებსო, ბოლო აღარ ელება.

კლუბი არა სდგას თავის სიმაღლეზე, ვერ აწარმოებს მასიურ მუშაობას წითელ არმიელებში.

გამონაკლისს შეადგენს მეორე დივიზიონის შეერთებული ბატარეია, სადაც ტეხნიკური დაბრკოლებები ბევრია, მაგრამ წითელ არმიელებში შინაური ძალებით მაინც გაცხოველებულია მუშაობა და შეიძლება ითქვას, რომ იქაური მდგომარეობასთან შეფარდებით, კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა თავის სიმაღლეზე სდგას.

ყოველ საღამოობით იმართება ხმა მაღალი კითხვა და წრეებშიაც წითელ არმიელების საკმაო რიცხვია ჩაწერილი.

სხვა ნაწილებში ჩვენ ვერ ვამჩნევთ ასეთებს.

თითქმის ერთი თვეა, რაც დაიწყეს სასცენო ადგილის გაკეთება.

მოთხარეს მიწა, დასმულია ფარდების ჩამოსაფარებლად ბოძები, მაგრამ კლუბს ფარდების ჩამოფარება და წარმოდგენების დადგმა ვერ მოუხერხებია.

წითელ არმიელები ითხოვენ წარმოდგენის დადგმას, კლუბის მუშაკები კი ეუბნებიან, დღეს თუ არა ხვალ მაინც დავდგამთ, დაიცადეთო.

მაგრამ ეს დღეს და ხვალ აღარ თავდება და წითელ არმიელების მოტყუებას ბოლო აღარ ეღება.

საჭიროა საკლუბო მუშაობისადმი მეტი ერთგულება და გამოფხიზლება, თორემ უკლუბოთ ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ.

მისაბაძი მაგალითი.

ამ უკანასკნელ ხანებში მეთაურთა სკოლიდან უმც. მეთ. სკოლაში პრაქტიკისათვის გადმოგზავნილ იქნენ ორ ჯგუფათ თითო კვირის ვადით კურსანტები, რომელთა განვითარება და დისციპლინარული მოქმედება საკმაოთ იქნა გაშუქებული გაზეთ „წითელ არმიელში“.

მათ შორის იყო წითელ არმიელებში არსებულ საქმიანობით მხურვალეთ გატაცებული ამხ. **ზარქუა.**

ის მოსვლისას ცხადდება კომუჯრედის მდივანთან, ტარდება რეგისტრაციაში, მორიგ სხდომაზე აკეთებს მოხსენებას პარტამშენებლობაზე, ატარებს მთელ რიგ პოლიტსაათებისას: ა) ჩვენი ბელადების ბიოგრაფია, ბ) იმპერიალისტური ომის ათი წლის თავი, გ) წითელი არმია და სხვ.

თავისუფალ დროს ასწავლიდა წითელ არმიელებს სიმღერას „ძველი ქვეყანა ინგრევა“... ქონდა საუბრები-2-რე ინტერნაციონალზე და წითელ არმიაზე.

აგრეთვე დღეს, როცა მათი სკოლა ტფილისში მიემგზავრებოდა—შემთხვევით გამოცხადდა ჩვენთან და გააკეთა შინაარსიანი მოხსენება გერმანია-ანტანტის შორის დამოკიდებულების შესახებ.

ამხანაგ კურსანტებო და წითელ არმიელებო, მიბაძეთ მუშათა წრიდან გამოსულ კურსანტ ზარქუას.

ე. ც.

სამხედრო მეცადინეობას შეუდექით.

მესამე ქართული ლეგიონი, როგორც ვიცით, ახლად დაარსებულია და სათანადო ძალების ნაკლებობა, რა თქმა უნდა, აქაც არის. მაგალითად, ძლიერ ცოტანი არიან ჩვენთან პოლიტიკური ხელმძღვანელები. მთელი მუშაობა ჯარის პოლიტიკურად მომზადების საქმეში მათ აწევთ კისერზე და მაინც ენერგიულადაც მუშაობენ.

მაგრამ ეხლა სხვა საქმეც გაუჩნდათ პოლიტხელებს. პოლიტიკური შემადგენლობა სამხედრო ცოდნითაც უნდა იყოს აღჭურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიზანს ვერ მივაღწევთ. ეს კარგად აქვთ შეგნებული ჩვენს პოლიტხელებს.

გასაოცარი ენერგიით და მონდომებით შეუდგენ სამხედრო ცოდნის შეთვისებას.

ჯერ-ჯერობით გადიან ტყვიამფრქვეველს. ამავე დროს კვირაში სამჯერ მეთაურ ამხ. ბოსიკაშვილის ხელმძღვანელობით მეცადინეობენ ტაქტიკის შესავალსა და თოფის ნაწილების შესწავლაში.

რამოდენიმე ხნის შემდეგ დაიწყება მეცადინეობა ტოპოგრაფიასა, საადმინისტრაციო და სასანგრო საქმეში.

პოლიტმომუშავენი დიდი მონდომებით ეკიდებიან აღნიშნულ საქმეს და სრული იმედიც გვაქვს, რომ სულ მოკლე ხანში მიახწევენ მიზანს.

სამხკორი: კ. ბაღათურია.

ექსკურსია აჭარისტანის მუზეუმსა და ელექტრონის სადგურში.

17 აგვისტოს მეოთხე ლეგიონის ზურგის ასეული გაემგზავრა საექსკურსიოთ აღნიშნულ დაწესებულებებში.

წითელ არმიელების სიხარულს საზღვარი არა აქვს.

პოლიტხელები მეთაურებით 50 კაცამდე გავემგზავრეთ.

გზაში ხელმძღვანელი პოლიტმომუშავენი უხსნიდენ წითელ არმიელებს, თუ რა არის და როგორი სარგებლობის მოტანა შეუძლია მუზეუმს საერთოდ და ელექტრონის სადგურს.

რადგან ცოტა ადრე მოგვიხდა გამგზავრება—გავსწიეთ ზღვაზე საბანაოთ.

პირველად მივედით ელექტრონის სადგურის დასათვალიერებლად. ძლიერ გააკვირვა ამხანაგები უზარმაზარ ბორბლების ტრიალმა და ღვედების ტკაცა-ტკუცმა.

ქარხნის გამგემ მიგვიყვანა ყველა მანქანებთან და დაწვრილებით აგვიხსნა ყველაფერი.

შემდეგ მადლობა გადაუხადეთ გამგეს ასეთი ყურადღებისათვის და გავეშურეთ მუზეუმისაკენ,

შევედივართ, რაღაცა არა ჩვეულებრივი სიწყნარე, მოკრძალება და სიძველეთა პატივის ცემა ირგვლივ გამეფებული. რაღაც დამშვიდებას გრძნობ კაცი აქ.

მოგვეგება მუზეუმის გამგე. მივყევართ თითეულ საგანთან, დაწვრილებით გვაცნობს ყველაფერს.

აგერ აჭარისტანიდან ჩამოტანილი ცხოველები, აჭარის სიძველენი, თოფ-იარაღი. ყველაფერი დიდ კმაყოფილებას იწვევს არმიელებში.

ზოგიერთები იმასაც ამბობენ, რომ ასეთი მუზეუმები სოფლადაც შეიძლება მოვაწყოთო.

ბევრი ძველი საგნები გვინახავს სოფელში, მაგრამ ყურადღება არ მიგვიქცევია, გამოუსადეგარი გვგონებია ყველაფერი.

გამოვემშვიდობეთ გამგეს და გაუდექით ჩვენი ყაზარმისაკენ. ექსკურსიამ მეტათ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენს არმიელებზე. საჭიროა ასეთივე ექსკურსიების მოწყობა გემებისა და ჩაქვის ჩაის დამზადებელ ქარხნების დასათვალიერებლად. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პოლიტხელები ამასაც შეგვისრულებენ.

ონოფრიძე.

უფშემადგენლობის პოლიტ და პოლიტ-მომუშავეთა სამხედრო სწავლა.

ქართულ მსროლელ დივიზიის უმც. მეთ. სკოლამ ბანაკში მიღებულ წესდება პროგრამის მიხედვით დაიწყო უფშემადგენლობის პოლიტიკურად მომზადება, რომელსაც დიდი ხალისით ეკიდება, როგორც უფ-

შემადგენლობა, ისე პოლიტ-შემადგენლობა. მეცადინეობას სკოლის ლექტორი ხელმძღვანელობს.

აგრეთვე დანიშნულია ორი სამხედრო ლექტორი ყოველ დღიური საათებით—პოლიტ-შემადგენლობის სამხედრო ცოდნით აღჭურვისათვის.

როგორც ერთს, ისე მეორეს დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთ დაახლოვებისათვის არსებულ საქმიანობის სასურველად შესწავლის და წითელ არმიელთა შესაფერი მომზადებისათვის.

სასურველია დაწყებული საქმის საბოლოო დაგვირგვინება.

ე. ც—ია.

ჩვენს კომუჯრედში.

8 აგვისტოს მოწვეულ იქნა მე-4-ხე ლეგ. ზურგის ასეულის მე-2-რე კომუჯრედის დახურული კრება, რომელსაც დაესწრენ ყველა კომუჯრედის წევრები.

დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: მდივნის არჩევა, პარტკორის არჩევა, დისციპლინის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

ყველა კითხვები სათანადოთ იქნა ამოწურული. კომუჯრედის მდივნად კრებამ აირჩია ამხ. გოგუაძე. პარტკორად ამხ. რაჟდენ ბექვაია. უჯრედის წევრმა ამხ. ჯაფარიძემ გააკეთა მოხსენება პარტკორის მნიშვნელობაზე და მოვალეობაზე კომუჯრედის საქმიანობაში და უსურვა ახალ პარტკორს ნაყოფიერი მუშაობა.

მიმდინარე საკითხების გარჩევის შემდეგ კრებაც დაიხურა. დისციპლინის შესახებ გამოტანილ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

კომკავშირელი განთიადი.

რაზედ გვწერენ

ნიშანი თავის დროზე უნდა სრულდებოდეს.

ბანაკში თითეული ჩვენი ფეხის ნაბიჯი სათანადო ნიშანზეა დამოკიდებული, უნიშნოთ ფეხსაც ვერ გადავდგამთ, რომელიც ყოველთვის გაისმის თავ-თავის დროზე.

მაგალითად, ადგომის, ცხენის წმენდის, სადილის, მეცადინეობის და სხვა.

მთელი ჩვენი მოქმედების—მუშაობის გეგმა ამ ნიშნებთან—სიგნალებთან არის შეთანხმებული, მაგრამ ექვემდებარება ჩვენი ცხენოსანი ლეგიონი ამ ნიშნებს, სრულდება ისინი, როგორც საჭიროა ისე?

სრულიადაც არა.

მაგალითად, გაიცა დილაზე ცხენების წმენდის ნიშანი. ყველანი მზად არიან, სწმენდენ ცხენებს, ასრულებენ თავის მოვალეობას.

მაგრამ წმენდის გათავების ნიშანი კი აღარ სრულდება თავის დროზე, ცხენებთან მუშაობა დიდხანს გრძელდება. ამას კი სხვა უბედურება მისდევს. გვაგვიანდება დილის საუზმეზე, თითქმის ვერც ვასწრებთ შენაყრებას, რომ იცემა ნიშანი სხვა საქმისათვის, რომელზედაც დაუყონებლივ უნდა გავეშუროთ. ერთ საქმეზე დაგვიანება და მისი არა თავის დროზე დასრულება იწვევს მეორე საქმის შეფერხებას.

საჭირო არის ქართულ ცხენოსან ლეგიონის უფშემადგენლობა ყურადღებით მოეპყრას ამ გარემოებას და თითეული ნიშანი სრულდებოდეს თავის დროზე.

ლეგიონერი.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი გზის აღმოჩენა გერმანიაში.

საფრანგეთის სამხედრო ჟურნალი „ლაფრანს მელიტე“ იტყობინება, რომ გერმანიაში გამოუმუშავებიათ და საიდუმლოდ მზადდება ახალი შხამიანი გაზი. ახალი გაზის თვისებები ასეთია: უფერული, უსუნო და უგემო. მისი შემჩნევა შეუძლებელია. მისი მომშხამავი ძალა უფრო ძლიერია ვინემ აქამდე ხმარებული სხვა ყველა გაზებისა. ყოველგვარი გაზის საწინააღმდეგო ნიღაბები უძლური და გამოუსადეგარი არიან მის წინააღმდეგ.

ავტომატიური ვინტოვკები.

საფრანგეთისა და ინგლისის ჯარები იარაღდება ახალი ავტომატიური ვინტოვკებით. ვინტოვკებიდან 20-ჯერ შეიძლება ყოველ წამში გასროლა.

ვინტოვკა თვალის დახამხამების ხანში უშვებს 40 გილზს.. ასეთი ტიპის ვინტოვკიდან ისე შეიძლება სროლის წარმოება, როგორც ჩვეულებრივიდან.

შეუმჩნეველი სხივები.

საფრანგეთი ძლიერ შეაშინა შემდეგმა შემთხვევამ. საჰაერო ხაზზე ბუქარესტი (რუმინია)—პარიზი, ბავარიის ტერიტორიაზე გამოურკვეველი მიზეზების გამო ერთბაშად დაეშვენ ძირს საფრანგეთის სხვა ჰაეროპლანები. ერთ-ერთი ახსნა ამ მოვლენის ის უნდა იყოს, რომ გერმან ლებმა ალბად მართლა გამოიგონ და აამოქმედეს კიდევაც შეუმჩნევ ლი სხივები, რომლებიც აჩერებ ამუშავებენ მოტორებს.

საფრანგეთში მხოლოდ მაშინ დ მშვიდდენ, როდესაც სამხედრო ს მინისტრომ გამოაცხადა, რომ ს ფრანგეთის სამინისტროც აწარმო ბს ცდებს ასეთი უჩინარი სხივებ გამოყენების მიზნით.

ფუტკრები ომში.

ფუტკარს სასოფლო მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ის იძლევა თაფლსა და სანთელს. თაფლი შემრგო, ყუათიანი საჭმელია და მის ზომიერს ჭამას ბევრგვარ ავადმყოფობაზე სამკურნალო მნიშვნელობა აქვს; თაფლის სამკურნალო მნიშვნელობა სწამდათ ძველ ექიმებს და ახალი ექიმებიც ძლიერ ხშირად უწერენ ავადმყოფებს, როგორც წამალს.

სანთელი ბნელის გასანათადაც იხმარება და მას აგრეთვე წამლებშიაც ურევენ.

ფუტკარივე შველის ყვავილთ ქორწინებას და ამ რიგად იმისი (ფუტკრის) წყალობით ხეხილი მეტს ისხამს. ფუტკარივე გვაძლევს დაუღალავი, გონივრული, ერთი მეორეში სრულის შეხმატკბილებულ განაწილებული შრომის მაგალითს. იმისგანვე შეგვიძლი ვისწავლოთ, თუ როგორ უნდა საზოგადოებრივი, კოლექტივური ცხოვრება.

ბუნების წიაღში ფუტკარი ერთად ერთი არსებაა, რომელიც **სხვისი ხარჯით არ ცხოვრობს, სხვას ზიანს არ აძლევს, ჩვენ არას გვთხოვს და დიდ სარგებლობას კი გვაძლევს, როგორც ქონებრივად, აგრეთვე ზნეობრივათ.** ასეთია დღეს ფუტკრის მნიშვნელობა, წინად კი მას სხვა მიზნითაც აშენებდენ.

ძველად, როცა სამხედრო ტეხნიკა არ იყო ისე განვითარებული, როგორც დღეს არის, არ იყო გამოგონებული: თოფი, ყუმბარა, ტყვიისმფრქვეველი და სხვა ასეთები, მაშინ ფუტკარს ხმარობდენ, როგორც ბრძოლის იარაღს.

ფუტკარი ყავდათ დაბინავებული თიხის ჭურჭლებში—თიხის სკებში როგორიც არის პატარა ქვევრები (ქოცო) ან ჩაფები—კოკები. ასეთი ეწყოთ ციხის გალავნის შიგნით, ისე, როგორც დღეს გამწკრივებული აქვთ ზარბაზნები. როცა მტერი ციხეზე იერიშს მოიტანდა დამხდურები იკეთებდენ პირბადეებს და ციხის გალავნიდან მტრის ბანაკში გადაისროდენ თიხის სკებს. ცხადია სკა დაიმტვრეოდა, მისგან გამოცვინდებოდენ ბუდე დანგრეული და გაბრაზებული ფუტკრები და უმოწყალოდ დაერეოდენ ვინც კი მათ ახლოს იყო.

მომხდურებში მოხდებოდა არევდარევა, ხელიდან გააგდებდენ კეტებსა და ნაჯახებს. ხელის ფართხუნით იგერიებდენ გაკაპასებულ ფუტკრებს. ამით ცხადია პირბადე აფარებული დამხდური (ციხის მცველი მეომრები) სარგებლობდენ და მტერს უკუ აქცევდენ—იმორჩილებდენ, ელეტდენ.

ისტორია მოგვითხრობს, რომ ასეთი „ცოცხალი ყუმბარებით“ ისარგებლეს ისპანელებმა და სძლიეს ინგლისელებს.

ასეთი ყუმბარით იბრძოდენ არამც თუ ხმელეთზე, არამედ ზღვაზედაც. განსაკუთრებით ასეთ თიხის სკებს თან ატარებდენ ზღვის ავაზაკები—მეკობრები.

გასაცარცვავ გემს ესროდენ ქამანდს, მოსწევდენ თავისკენ და როცა დაიახლოვებდენ მაშინ გადისროდენ „ყუმბარებს“.

უკანასკნელი ომის დროსაც სცადეს ავსტრიელებმა (1915 და 1916 წლებში) ფუტკრის—მტრის საწინააღმდეგოთ გამოყენება, მაგრამ, ცხადია ბევრს ვერაფერს გახდენ.

ძველად ომის დროს ფუტკრის ნაწარმოებს—თაფლსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თაფლი, რომ ყუათიანია და დიდხანს ინახება ეს კარგად იცოდენ, და ამიტომ თაფლისაგან ამზადებდენ ეგრედ წოდებულ „ქუმელს“. ქუმელი წინად იგივე იყო, რაც ახლა არის ორცხობილა („სუხარი“) და მას ასე ამზადებდენ: მოხალავდენ ქერის ფქვილს და მას მოზელდენ თაფლით. ყველა მხედარს თან ჰქონდა ორიოდე გირვანქა ქუმელი გაჭირვების დღისათვის, როცა სხვა საჭმელს მეომარი ვერ იშოვიდა, მაშინ ჭამდა მხოლოდ, და რომ მას შეეჭამა სულ მცირე კერძი—ერთი კაკლის ოდენა ეს საკმარისი იყო, რომ მას შიმშილი არ ეგრძნო და ღონე ჰქონოდა.

ქუმელს თან ატარებდენ აგრეთვე ყაჩაღები. აი ასე სასარგებლო იყო წინად ფუტკარი, ახლა კიდევ მეტად სარგებლობენ ფუტკრით, მაგრამ ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ ფუტკრის ევროპიული წესით მოვლა—ფუტკარი უნდა დავაბინავოთ არა კოდ-გუჯებში, არამედ ჩარჩოიან სკებში -ფუტკარიც მეტად იხეირებს და ჩვენც გვახეირებს.

მეფუტკრეობის ინსტრუქტორი
აპ. წულაძე.

ახალი ამბები.

— **ტრიბუნალში.** 25 აგვისტოსთვის გასარჩევად დანიშნულია ცხენოსან ლეგიონის წითელ მოლაშქრეთა გრ. ჯალაღანიას და ივ. მელიქ-მურადოვის საქმე. ბრალდებათ დეზერტირობა.

— **ქონების გაფლანგვა.** იმავე დღეს დანიშნულია აგრეთვე საარტილერიო დივიზიონის წითელ არმიელ ილია დენთოშვილის საქმე. ბრალდება დეზერტირობა და სახაზინო ქონების გაფლანგვა.

— **ლენინზე თავდასხმის დღე.** 30 აგვისტოს, ლენინზე თავდასხმის დღეს, წითელ არმიელთა ცენტრალურ კლუბში ჩატარებულ იქნება მუშების მონაწილეობით კომპანია.

— **წყალსადენი საბურთალოზე.** წყალსადენის სამმართველომ გადასწყვიტა საბურთალოზე გაიყვანოს წყალსადენი.

— **სახლების შეკეთება.** ქალაქის კეთილ-მოწყობის განყოფილებამ პირველ იანვრიდან ივლისამდე შეაკეთა სამოცდა ათი საბჭოთა სახლი, 24 შრომის სკოლა და 6 საბავშო სახლი და სხვა.

— **გლეხკომის ფუნქციები.** შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობა ყველა აღმასკომებს, განუმარტოს გლეხკომებს მათი ფუნქციები და დახმარება აღმოუჩინონ მათ კანონიერ ფარგლებში.

— **მართველობის ძირეულ აპარატების გამრავლება.** შინ. საქ. სახ. კომ. მოსდის მაზრების აღმასკომებიდან შუამდგომლობანი სასოფლო და სარაიონო საბჭოების გამრავლების შესახებ. შუამდგომლობანი განსახილველად გადაეცემა საქ. სამხკომსაბჭოს.

— **მოსავალი ლეჩხუმში.** ლეჩხუმის მაზრიდან ჩამოსულთა სიტყვით იქ წელს მოსავალს ძლიერ კარგი პირი უჩანს, განსაკუთრებით სიმინდს და ვენახს.

— **სამხედრო მონადირეთა საზოგადოება.** ა. კ. სამხკომსაბჭომ დაამტკიცა სამხედრო მონადირეთ და მეთევზეთა საზოგადოების წეს დება.

— **ვაჭრების დაჯარიმება.** ბა რის ფასების მომწესრიგებელმა კო მისიამ დააჯარიმა 58 ვაჭარი, ბაზრ სავალდებულო დადგენილების დარ ღვევისათვის.

— **დახმარება წითელ არმიელ ებს.** სოც. უზრუნველყოფის კომ სარიატმა ივლისის განმავლობაშ დახმარება გაუწია სხვათაშორის 6 წითელ არმიელს.

— **გლეხები აშენებენ ხიდ** სოფელ ორბელის (ლეჩხუმი) მცხო რებლებმა გადასწყვიტეს მხურვალ მონაწილეობა მიიღონ მდ. ლაჯ ნურზე ხიდის აგებაში. **საამისო მ** შაობა უკვე დაწყებულია ადგილო რივ აღმასკომის ინიციატივით.

— **ოსეთის სამხედრო გზა.** ჟამად სწარმოებს ოსეთის სამხე რო გზატკეცილის საფუძვლია შეკეთება მექვენიდან ალპანამდე.

— **მასწავლებელთა ექსკურსი** ლეჩხუმის მაზრის მასწავლებელთ გადასამზადებელი კურსების მს ნელებმა დაადგინეს გაემგზავრო ექსკურსიაზე აღმოსავლეთ საქა თველოში.

— **წელს ხოლერა არ ყოფილ** ჯანმრთელობის კომისარიატის ცნ ბით, ტფილისში წელს ხოლერ ადგილი არ ჰქონია.

— **ლენინის მუშათა უბან** ქალაქის აღმასკომის მიერ ამ მად სწარმოებს დიდი მუშაობა ლ ნინის მუშათა უბანის (ნაძალადევ გასამშვენიერებლათ. კეთდება ძვ ლი ქუჩები, აგებენ ქვაფენილ და გაყავთ სინათლე.

— **კართოფილის ფქვილის ქ რხანა.** ახალ ციხის სამაზრო გლ კომმა გადასწყვიტა მოაწყოს ადგ ლობრივ კართოფილის ფქვილ ქარხანა.

— **გლეხთა სასახლე ბორჯო ში.** ბორჯომის აღმასკომი უკვე შ უდგა გლეხთა სასახლისათვის ორ ს რთულიან შენობის აგებას.

განცხადება

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სამხედრო ცოდნათა კლუ
თან არსებულ

სამხატვრო ინსტიტუტში

მიღება გრძელდება. ინსტიტუტში არსებობს სხვა და სხვა განყოფილ ბები: **მოზაიკის, გრაფიკის, ხატვის, ქანდაკების და კომპოზიცი** წითელ არმიელები და პროფკავშირთა წევრები მივლინებით სწავლ ფულს არ იხდიან.

თხოვნები მიიღება ინსტიტუტში საღამოს 6—9-დე.

პლეხანოვის ქუჩა, № 143.

დავკარგე სარეგისტრაციო ბარათი გაცემული მეცხრე მილიციო უბნიდან ევგენი ივანეს-ძე გლადი ვის სახელზე.

მპოვნელს ვთხოვ წარმოადგინოს სამხედრო ტრიბუნალში.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1400 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3 პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.